

1. ჯგუფის ისტორიის, დამფუძნებლები და მმართველობა

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება წარმოდგენილია სს „ქართული კინოს განვითარების ცენტრის“ ს/კ 400051199 მიერ. სს „ქართული კინოს განვითარების ცენტრის“ 100%-იან მესაკუთრეს წარმოადგენს ეკონომიკის სამინისტრო (სახელმწიფო ქონების სააგენტო). სს „ქართული კინოს განვითარების ცენტრი“ რეგისტრირებულია 2012 წლის 31 მაისს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, რეგისტრაციის NB18046892. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია - 400051199. იურიდიული მისამართია - ქ. თბილისის, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ახმეტელის ქ., N10ა.

სს „ქართული კინოს განვითარების ცენტრის“ მმართველობას ახორციელებს აქციონერთა კრება და დირექტორი, აქციონერთა კრება წარმოდგენილია სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოს მიერ, რომელიც ნიშნავს დირექტორს, დღეისათვის კომპანიის დირექტორია მერაბ კოკოჩაშვილი, რომელიც 2015 წლის 08 ივნისიდან ახორციელებს მმართველობით უფლებამოსილებას.

სს „ქართული კინოს განვითარების ცენტრი“ წარმოადგენდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც პარტნიორის გადაწყვეტილებით (სახელმწიფო ქონების სააგენტო) 2018 წელს გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებად.

სს „ქართული კინოს განვითარების ცენტრის“ შვილობილ კომპანიას წარმოადგენს სს „ქართული ფილმი“ (ს/კ 202054196), რომლის 100%-იანი მესაკუთრე არის სს „ქართული კინოს განვითარების ცენტრი“. სს „ქართული ფილმი“ თავის მხრივ არის შპს „ქართული ფილმი-უძრავი ქონების“ ს/კ 201945262 100%-იანი დამფუძნებელი და ასევე შპს „მემატიანეს“ ს/კ 201953626 100%-იანი დამფუძნებელი.

სს „ქართული ფილმი“ არის „კინოსტუდია ქართული ფილმის“ სამართალმემკვიდრე.

კინოსტუდია „ქართული ფილმი“ არის საქართველოში და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ერთ-ერთი დიდი მწარმოებელი კინოსტუდია. „ქართულ ფილმში“ გადაღებულია 800-მდე მხატვრული, 500-მდე მოკლემეტრაჟიანი, 2600-მდე დოკუმენტური-სამეცნიერო პოპულარული და 350 ანიმაციური ფილმი.

სს „ქართული ფილმი“ რეგისტრირებულია 1995 წლის 18 ივლისს, ხოლო ცვლილებები რეგისტრირებულია 2001 წლის 2 თებერვალს.

ორგანიზაციის მმართველობას ახორციელებს აქციონერთა კრება და დირექტორთა საბჭო, აქციონერთა კრება (წარმოდგენილია სს „ქართული კინოს განვითარების ცენტრის სახით) ნიშნავს დირექტორთა საბჭოს.

სს „ქართული ფილმის“ დირექტორთა საბჭო შედგება სამი წევრისგან. დირექტორთა საბჭოს მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოადგენს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე.

შპს „ქართული ფილმი უძრავი ქონების“ დამფუძნებელია სს „ქართული ფილმი“. შპს „ქართული ფილმი უძრავი ქონება“ რეგისტრირებულია 1995 წელს.

კომპანიის მმართველობას ახორციელებს პარტნიორთა კრება და დირექტორი, დირექტორს აქვს შეზღუდული უფლებამოსილება მმართველობით ნაწილში.

2. ჯგუფის საქმიანობა, მომსახურებები, პროდუქტები

ჯგუფის საქმიანობის ძირითადი მიმართულება ქართული კინოს განვითარება და მისი ხელშეწყობაა.

ამჟამად სს „ქართული ფილმი“ ახორციელებს სხვადასხვა ტიპის მომსახურებას: კინოწარმოების, პოსტპროდუქშენის, კინოფილმების დისტრიბუციის, ასევე პროექტებს კინომემკვიდრეობის დაცვის, მოვლისა და რესტავრაციის კუთხით. სტუდიამ მნიშვნელოვანი წარმატებებს მიაღწია საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობაში, რისი შედეგიცაა სს „ქართული ფილმის“ ჩართულობა მსოფლიო კინოპროექტებში.

შპს „ქართული ფილმი - უძრავი ქონების“ საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა, კომპანიის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების მართვა, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა, განვითარება და არსებულ ინფრასტრუქტურაში შემავალი შენობა-ნაგებობების ფუნქციონალური დატვირთვა.

სს „ქართული ფილმი“ ფუნქციონირებს, როგორც კინოწარმოებელი და ასევე კინოსერვისის საწარმო.

კინოწარმოების ნაწილში წარმოებაში ჩაშვებულია 2 სრულმეტრაჟიანი და 1 მოკლემეტრაჟიანი ფილმი, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ხელშეწყობით აღდგენილა 7 ანიმაციურ ფილმები. ეროვნული კინოცენტრის ხელშეწყობით აღვადგინეთ რეზო ჩხეიძის „მაია წყნეთელი“, ნუცა ლოღობერიძის „ზუზა“.

სტუდიაში რესტავრაცია გაუკეთდა ფილმებს: „ნუცას სკოლა“, „არდადეგები“, ასევე მიმდინარეობს „მწვერვალის“ აღდგენა-რესტავრაცია.

გარდა ამ საქმიანობისა, საწარმო მომსახურებას უწევს სხვა კინოწარმოებებს და უზრუნველყოფს მას პავილიონებით, ხმის, ხმაურებისა და მუსიკის ჩამწერი დარბაზებით, რეკვიზიტით, კოსტიუმით, საჭირო აპარატურის ნაწილით, როგორცაა კამერები და მისი აქსესუარები, ობიექტივები, და სხვა.

თუ საქართველოში ეპოქალური კინოს იღებენ, ისინი აუცილებლად იყენებენ „ქართული ფილმის“ კოსტუმებს, იარაღსა და რეკვიზიტს.

აღსანიშნავია მონტაჟისა და ფერის კორექციის სერვისიც (პოსტპროდუქშენი), რომელიც დატვირთულია, როგორც შიდა პროდუქციით, ასევე შემოსული დაკვეთებით.

კინოსტუდიას გააჩნია კინოფირის პროფესიონალური სკანერები (8 მმ, 16 მმ და 35 მმ), რომელიც საშუალებას გვაძლევს უმაღლესი ხარისხის ციფრულ ფორმატში გადავიყვანოთ კინოკამერით გადაღებული ფილმები. ეს ტექნოლოგია გვაძლავს, როგორც ახალი გადაღებული ფილმის ციფრულ ფორმატში მონტაჟისთვის, ასევე ძველი გამოსახულების სარესტავრაციოდ.

სტუდიას დაწყებული აქვს და აგრძელებს ქართული კლასიკური ანიმაციური ფილმების აღდგენა, რათა საუკუნისთვის შესაფერი ესტეტიკით მიეწოდოს მომავალ თაობას და შეიყვაროს ქართული კინოკულტურა. გარდა ამისა, გათვლილია მათი რესტავრაციის შემდეგ დისტრიბუციიდან მისაღებ კომერციულ შემოსავლებზე, როგორც საქართველოს სატელევიზიო სივრციდან, ისე საზღვრებს მიღმა არსებულ სატელევიზიო და ინტერნეტ ბაზრობებზე.

აპარატურის თვალსაზრისით კინოსტუდიას მრავალი კონკურენტი საწარმო ჰყავს საქართველოს ბაზარზე, ხოლო რაც შეეხება ფილმების აღდგენის სფეროს, ის კონკურენტგარეშეა, რადგან სტუდიაში მუშაობენ საერთაშორისო სარესტავრაციო სკოლაში სერთიფიცირებული პროფესიონალი რესტავრატორი და ფერის კორექტორი.

ასევე კონკურენტგარეშეა სტუდიის პავილიონები და ხმის ჩამწერი სტუდიები.

სტუდია გადამღებ ჯგუფებს სთავაზობს კასტინგისა და საოფისე ფართით მომსახურებებსაც.

3. ჯგუფის მომხმარებლები

ჯგუფის მომხმარებლები ძირითადად არიან საქართველოში მოღვაწე კინოწარმოებელი კომპანები, ტელევიზიები, ასევე კერძო ორგანიზაციები, რომლებიც სარგებლობენ სტუდიის სხვადასხვა სერვისით.

პანდემიური სიტუაციის გამო შენელდა ზოგადად კინოწარმოება საქართველოში და არა მარტო.

4. მნიშვნელოვანი მოვლენები

მიუხედავად შეზღუდვებისა, კომპანიამ რეგულაციების გათვალისწინებით მაინც შეძლო მიმდინარე კინოპროექტის გაგრძელება და სრულმეტრაჟი ფილმის 30% გადაღება. ასევე მიმდინარე ქართული-თურქული კოპროდუქციის - “ხიდი” - დასრულება. (გადახმოვანება, ფერის კორექცია, ხმის დიზაინი)

5. ფინანსური მაჩვენებლები

ჯგუფის ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს

- 2020 წლის ამონაგებმა შეადგინა 1, 199,839 ლარი, 2019 წლისამ - 1,231,007 ლარი. ამონაგები შემცირდა 2,5%-ით;
- მოგება 2019 წელს იყო 66,355 ლარი, ხოლო 2020 წელს ზარალი - 35,426 ლარი;
- საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზარდი არის 403,828 ლარი 2020 წელს, ხოლო 2019 წელს - 157,641 ლარი; ხოლო ჯამური წმინდა ნაზარდი თანხა 2020 წელს არის 350,258 ლარი, ხოლო 2019 წელს- (31,426) ლარი.

6. ჯგუფის განვითარების გეგმა

ჯგუფის ხელმძღვანელობას გააჩნია გაწერილი სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც გამოიყოფა რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულება:

1. არსებული იურიდიული მართვის სტრუქტურის შეცვლა და ახალ, შემუშავებულ მოდელზე გადასვლა.
2. კინოსარესტავრაციო სამუშაოს განვითარება (ამისთვის არსებობს ცალკე ბიზნეს-გეგმა), როგორც ტექნიკური, ისე ადამიანური რესურსების გაზრდის კუთხით.
3. ინფრასტრუქტურული განვითარების გეგმა, რაც გულისხმობს არსებული ტერიტორიის მაქსიმალურ ათვისებას კინოინდუსტრიაში საჭირო შენობა-ნაგებობის აშენება- მოდერნიზაციის კუთხით, ინვესტორთათვის საინტერესო წინადადებების მომზადება.
4. ნაწარმოები კინოფილმების გასაღების ახალი ბაზრების მოძიება და დისტრიბუცია.
5. კინოწარმოების სერვისების რაოდენობისა და ხარისხის გაზრდა.
6. შშმ პირთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნას ანიმაციური ფილმების წარმოების კუთხით (ამისთვისაც არსებობს პროექტი “იასამნისფერი ზონა”)
7. თანამშრომლების გადამზადებაზე ზრუნვა, რათა სტუდია არ ჩამორჩეს თანამედროვე კინოპროცესებსა და ტექნოლოგიებს.
8. კომპანია აქტიურად იბრძვის საკუთარი კინოპროდუქციის დაცვისა და ლეგალური დისტრიბუციისთვის, რის გამოც ის გახდა “საქართველოს ანტიმეკობრული ასოციაციის” თანადამფუძნებელი.
9. ფინანსების მოძიება ახალი და არსებული პროექტების განსახორციელებლად.

დირექტორი:


----- მერაბ კოკოჩაშვილი

6. ჯგუფის განვითარების გეგმა

ჯგუფის ხელმძღვანელობას გააჩნია გაწერილი სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც გამოიყოფა რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულება:

1. არსებული იურიდიული მართვის სტრუქტურის შეცვლა და ახალ, შემუშავებულ მოდელზე გადასვლა.
2. კინოსარესტავრაციო სამუშაოს განვითარება (ამისთვის არსებობს ცალკე ბიზნეს-გეგმა), როგორც ტექნიკური, ისე ადამიანური რესურსების გაზრდის კუთხით.
3. ინფრასტრუქტურული განვითარების გეგმა, რაც გულისხმობს არსებული ტერიტორიის მაქსიმალურ ათვისებას კინოინდუსტრიაში საჭირო შენობა-ნაგებობის აშენება- მოდერნიზაციის კუთხით, ინვესტორთათვის საინტერესო წინადადებების მომზადება.
4. ნაწარმოები კინოფილმების გასაღების ახალი ბაზრების მოძიება და დისტრიბუცია.
5. კინოწარმოების სერვისების რაოდენობისა და ხარისხის გაზრდა.
6. შშმ პირთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნას ანიმაციური ფილმების წარმოების კუთხით (ამისთვისაც არსებობს პროექტი “იასამნისფერი ზონა”)
7. თანამშრომლების გადამზადებაზე ზრუნვა, რათა სტუდია არ ჩამორჩეს თანამედროვე კინოპროცესებსა და ტექნოლოგიებს.
8. კომპანია აქტიურად იბრძვის საკუთარი კინოპროდუქციის დაცვისა და ლეგალური დისტრიბუციისთვის, რის გამოც ის გახდა “საქართველოს ანტიმეკობრული ასიციაციის” თანადამფუძნებელი.
9. ფინანსების მოძიება ახალი და არსებული პროექტების განსახორციელებლად.

დირექტორი:



მერაბ კოკოჩაშვილი

სს ქართული კინოს განვითარების ცენტრი
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (1 ლარი)
2020 წლის 31 დეკემბერი

	31 დეკემბერი, 2020 წ.	31 დეკემბერი, 2019 წ.	შენიშვნა
<i>მოკლევადიანი აქტივები:</i>			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	541 354	191 096	5
სავაჭრო მოთხოვნები	223 884	286 391	6
მარაგები	9 099	5 753	
საგადასახადო აქტივები	303	303	
სხვა მიმდინარე აქტივები	12 968	47 719	
<i>მოკლევადიანი აქტივები სულ:</i>	787 607	531 262	
<i>გრძელვადიანი აქტივები:</i>			
ძირითადი საშუალებები	11 280 917	10 973 803	7
არამატერიალური აქტივები	777 939	625 937	8
საინვესტიციო ქონება	35 057 836	35 772 453	9
სხვა გრძელვადიანი აქტივები	426 715	419 976	10
<i>გრძელვადიანი აქტივები სულ:</i>	47 543 407	47 792 169	
<i>აქტივები სულ:</i>	48 331 014	48 323 432	
<i>მოკლევადიანი ვალდებულებები:</i>			
სავაჭრო ვალდებულებები	129 779	132 575	11
საგადასახადო ვალდებულებები	218 915	223 494	12
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	114 373	63 990	13
<i>მოკლევადიანი ვალდებულებები სულ:</i>	463 067	420 059	
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები:</i>			
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	44 274	44 274	14
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები სულ:</i>	44 274	44 274	
<i>კაპიტალი და რეზერვები:</i>			
სააქციო კაპიტალი	13 318 997	13 318 997	15
დაგროვილი მოგება/(ზარალი)	34 504 676	34 540 102	
<i>კაპიტალი სულ:</i>	47 823 673	47 859 099	
<i>სულ ვალდებულებები და კაპიტალი:</i>	48 331 014	48 323 431	

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2021 წლის 07 სექტემბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად დირექტორის მიერ:

დირექტორი:


_____ მერაბ კოკორაშვილი


11-29 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს ქართული კინოს განვითარების ცენტრი
კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება (1 ლარი)
2020 წლის 31 დეკემბერი

	2020 წელი	2019 წელი	შენიშვნა
ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	1 199 839	1 231 007	16
მოგება ძირითადი საქმიანობიდან	1 199 839	1 231 007	
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(703 142)	(1 004 027)	17
მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების შემოსავალი/(ხარჯი)	(100 417)	(2 590)	
სხვა საოპერაციო შემოსავალი/(ხარჯები)	(683 198)	(705 812)	18
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან	(286 918)	(481 423)	
ფინანსური შემოსავალი	594	546	
მოგება/(ზარალი) საკუროს სხვაობებიდან	3 555	609	
სხვა არასაოპერაციო მოგება/(ზარალი)	252 650	546 623	19
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	(30 120)	66 356	
მოგების გადასახადი	(5 305)	-	
წლის წმინდა მოგება	(35 426)	66 356	
წლის სრული შემოსავალი	(35 426)	66 356	

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2021 წლის 07 სექტემბერს
დამტკიცებულია გამოსაშვებად დირექტორის მიერ:

დირექტორი:



მერაბ კოკოჩაშვილი


11-29 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების
განუყოფელ ნაწილს.

სს ქართული კინოს განვითარების ცენტრი
კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება (1 ლარი)
2020 წლის 31 დეკემბერი

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება/ (ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 31.12.2018-თვის	13 318 997	34 473 746	47 792 743
საანგარიშგებო პერიოდის ზარალი	-	66 356	66 356
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	13 318 997	34 540 102	47 859 099
სულ მესაკუთრეებთან განხორციელებული ოპერაციები	-	-	-
ნაშთი 31.12.2019-თვის	13 318 997	34 540 102	47 859 099
საანგარიშგებო პერიოდის ზარალი	-	(35 426)	(35 426)
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	13 318 997	34 504 676	47 823 673
სულ მესაკუთრეებთან განხორციელებული ოპერაციები	-	-	-
ნაშთი 31.12.2020-თვის	13 318 997	34 504 676	47 823 673

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2021 წლის 07 სექტემბერს
დამტკიცებულია გამოსაშვებად დირექტორის მიერ:

დირექტორი:


 მერაბ კოკოჩაშვილი

11-29 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების
განუყოფელ ნაწილს.

სს ქართული კინოს განვითარების ცენტრი
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება (1 ლარი)
2020 წლის 31 დეკემბერი

	2020 წელი	2019 წელი
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მიღებული თანხები მყიდველებისგან/მომსახურების მიმღებებისგან	1 393 347	1 316 975
მიღებული დაფინანსება	280 546	525 049
გადახდილი თანხები მომწოდებელზე/მომსახურების გამწევზე	(441 402)	(621 220)
გადახდილი შრომის ანაზღაურება	(401 719)	(653 799)
თანამშრომლისგან მიღებული ფულადი სახსრები	32	(1 289)
გადახდილი გადასახადები	(420 515)	(396 233)
სხვა შემოსავლები/(ხარჯები)	(6 460)	(11 842)
საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	403 828	157 641
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(57 716)	(190 222)
მიღებული პროცენტები	594	546
საინვესტიციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	(57 122)	(189 676)
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა/(კლება)	3 552	609
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების წმინდა ნაზრდი:	350 258	(31 426)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში:	191 096	222 522
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს:	541 354	191 096

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2021 წლის 07 სექტემბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად დირექტორის მიერ:

დირექტორი:  მერაბ კოკოჩაშვილი

11-29 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს ქართული კინოს განვითარების ცენტრი
2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

გვერდი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კონსოლიდირებული საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	6
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7

სს ქართული კინოს განვითარების ცენტრი
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (1 ლარი)
2020 წლის 31 დეკემბერი

	31 დეკემბერი, 2020 წ.	31 დეკემბერი, 2019 წ.	შენიშვნა
მოკლევადიანი აქტივები:			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	541 354	191 096	5
სავაჭრო მოთხოვნები	223 884	286 391	6
მარაგები	9 099	5 753	
საგადასახადო აქტივები	303	303	
სხვა მიმდინარე აქტივები	12 968	47 719	
მოკლევადიანი აქტივები სულ:	787 607	531 262	
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები	11 280 917	10 973 803	7
არამატერიალური აქტივები	777 939	625 937	8
საინვესტიციო ქონება	35 057 836	35 772 453	9
სხვა გრძელვადიანი აქტივები	426 715	419 976	10
გრძელვადიანი აქტივები სულ:	47 543 407	47 792 169	
აქტივები სულ:	48 331 014	48 323 432	
მოკლევადიანი ვალდებულებები:			
სავაჭრო ვალდებულებები	129 779	132 575	11
საგადასახადო ვალდებულებები	218 915	223 494	12
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	114 373	63 990	13
მოკლევადიანი ვალდებულებები სულ:	463 067	420 059	
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	44 274	44 274	14
გრძელვადიანი ვალდებულებები სულ:	44 274	44 274	
კაპიტალი და რეზერვები:			
სააქციო კაპიტალი	13 318 997	13 318 997	15
დაგროვილი მოგება/(ზარალი)	34 504 676	34 540 102	
კაპიტალი სულ:	47 823 673	47 859 099	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	48 331 014	48 323 431	

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2021 წლის 07 სექტემბერს
დამტკიცებულია გამოსაშვებად დირექტორის მიერ:

დირექტორი: ----- მერაბ კოკოჩაშვილი

7-29 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს ქართული კინოს განვითარების ცენტრი
კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება (1 ლარი)
2020 წლის 31 დეკემბერი

	2020 წელი	2019 წელი	შენიშვნა
ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	1 199 839	1 231 007	16
მოგება ძირითადი საქმიანობიდან	1 199 839	1 231 007	
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(703 142)	(1 004 027)	17
მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების შემოსავალი/(ხარჯი)	(100 417)	(2 590)	
სხვა საოპერაციო შემოსავალი/(ხარჯები)	(683 198)	(705 812)	18
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან	(286 918)	(481 423)	
ფინანსური შემოსავალი	594	546	
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობებიდან	3 555	609	
სხვა არასაოპერაციო მოგება/(ზარალი)	252 650	546 623	19
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	(30 120)	66 356	
მოგების გადასახადი	(5 305)	-	
წლის წმინდა მოგება	(35 426)	66 356	
წლის სრული შემოსავალი	(35 426)	66 356	

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2021 წლის 07 სექტემბერს
დამტკიცებულია გამოსაშვებად დირექტორის მიერ:

დირექტორი: ----- მერაბ კოკოჩაშვილი

7-29 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ
ნაწილს.

სს ქართული კინოს განვითარების ცენტრი
კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება (1 ლარი)
2020 წლის 31 დეკემბერი

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება/ (ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 31.12.2018-თვის	13 318 997	34 473 746	47 792 743
საანგარიშგებო პერიოდის ზარალი	-	66 356	66 356
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	13 318 997	34 540 102	47 859 099
სულ მესაკუთრებთან განხორციელებული ოპერაციები	-	-	-
ნაშთი 31.12.2019-თვის	13 318 997	34 540 102	47 859 099
საანგარიშგებო პერიოდის ზარალი	-	(35 426)	(35 426)
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	13 318 997	34 504 676	47 823 673
სულ მესაკუთრებთან განხორციელებული ოპერაციები	-	-	-
ნაშთი 31.12.2020-თვის	13 318 997	34 504 676	47 823 673

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2021 წლის 07 სექტემბერს
დამტკიცებულია გამოსაშვებად დირექტორის მიერ:

დირექტორი: ----- მერაბ კოკოჩაშვილი

7-29 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს ქართული კინოს განვითარების ცენტრი
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება (1 ლარი)
2020 წლის 31 დეკემბერი

	2020 წელი	2019 წელი
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მიღებული თანხები მყიდველებისგან/მომსახურების მიმღებებისგან	1 393 347	1 316 975
მიღებული დაფინანსება	280 546	525 049
გადახდილი თანხები მომწოდებელზე/მომსახურების გამწევზე	(441 402)	(621 220)
გადახდილი შრომის ანაზღაურება	(401 719)	(653 799)
თანამშრომლისგან მიღებული ფულადი სახსრები	32	(1 289)
გადახდილი გადასახადები	(420 515)	(396 233)
სხვა შემოსავლები/(ხარჯები)	(6 460)	(11 842)
საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	403 828	157 641
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(57 716)	(190 222)
მიღებული პროცენტები	594	546
საინვესტიციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	(57 122)	(189 676)
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა/(კლება)	3 552	609
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების წმინდა ნაზრდი:	350 258	(31 426)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში:	191 096	222 522
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს:	541 354	191 096

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2021 წლის 07 სექტემბერს
დამტკიცებულია გამოსაშვებად დირექტორის მიერ:

დირექტორი: ----- მერაბ კოკოჩაშვილი

7-29 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. შესავალი

ჯგუფი და მისი ოპერაციები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია სს „ქართული კინოს განვითარების ცენტრის“ ს/კ 400051199 მიერ. სს „ქართული კინოს განვითარების ცენტრის“ 100%-იან მესაკუთრეს წარმოადგენს ეკონომიკის სამინისტრო (სახელმწიფო ქონების სააგენტო). სს „ქართული კინოს განვითარების ცენტრი“ რეგისტრირებულია 2012 წლის 31 მაისს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, რეგისტრაციის NB18046892. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია - 400051199. იურიდიული მისამართია - ქ. თბილისის, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ახმეტელის ქ., N10ა.

2018 წლამდე სს „ქართული კინოს განვითარების ცენტრი“ წარმოადგენდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც 2018 წელს გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებად. სს „ქართული კინოს განვითარების ცენტრის“ ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს დირექტორი.

ჯგუფის აქციათა რეესტრს აწარმოებს თავად კომპანია, ჯგუფის გამოშვებული აქციების რაოდენობა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 12 899 020 ცალს.

სს „ქართული კინოს განვითარების ცენტრის“ შვილობილ კომპანიას წარმოადგენს სს „ქართული ფილმი“ (ს/კ 202054196), რომლის 100%-იანი მესაკუთრე არის სს „ქართული კინოს განვითარების ცენტრი“. სს „ქართული ფილმი“ თავის მხრივ არის შპს „ქართული ფილმი-უძრავი ქონების“ ს/კ 201945262 100%-იანი დამფუძნებელი და ასევე შპს „მემატიანეს“ ს/კ 201953626 100%-იანი დამფუძნებელი.

ჯგუფის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა: ფართის იჯარით გაცემა, რეკვიზიტების გაქირავება, ფილმის ჩვენების ნებართვის გაცემა, ასევე ეწევა სხვადასხვა სახის მომსახურებას კონოწარმოების, კინოფილმის დისტრიბუციის, ასევე პროექტებს კინომემკვიდრეობის დაცვის, მოვლისა და რესტავრაციის კუთხით.

საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ქართულ ლარში ("ლარი"), რადგან ეს ვალუტა ყველაზე კარგად ასახავს ჯგუფის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (გარდა განსაზღვრული ნახსენები შემთხვევებისა), რადგან ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ეს არის მეტად გამოსადეგი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთათვის.

უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი ნაშთების წარმოსადგენად გამოყენებული კურსი:

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
1 დოლარი/ლარი	3.2766	2.8677
1 ევრო/ლარი	4.0233	3.2095

2. შედგენის საფუძველი და მნიშვნელოვანი სალიცხვო პოლიტიკა

განცხადება შესაბამისობის თაობაზე

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") მიხედვით, რომელიც გამოცემულია აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ ("ზასს").

გაანგარიშების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების პრინციპის საფუძველზე, გარდა უძრავი ქონებისა, რომელიც წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებით. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია უახლოეს მთელზე თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

ჯგუფის სამომავლო ფუნქციონირების საკითხი.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ჯგუფის ფუნქციონირების განგრძობითობის კონცეფციის საფუძველზე. ამ გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა საქართველოში არსებული ფინანსური ინსტიტუტების არსებული მაკროეკონომიკური გარემო, დადებითი ფულადი ნაკადები, ოპერაციების მომგებიანობა და ადგილობრივი ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა.

ჯგუფის მენეჯმენტი მივიჩნევთ რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ ჯგუფი მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და შეძლებს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

უცხოური სავალუტო ოპერაციები. ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტა არის ის სადაც ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას. ჯგუფის ფუნქციონალური და საპროცენტო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი.

ფული და ფულის ექვივალენტები.

ჯგუფის ფული და ფულის ექვივალენტები შედგება ნაღდი ფულით ჯგუფში შემავალი სუბიექტების სალაროში და საბანკო ანგარიშებზე განთავსებული ნაშთებისგან.

ფინანსური ინსტრუმენტები - პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივს ერთი კომპანიისთვის და ფინანსურ ვალდებულებას ან კაპიტალის ინსტრუმენტს მეორე კომპანიისთვის.

ფინანსური აქტივი

პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები თავდაპირველად და შემდგომში აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და ჯგუფის ბიზნეს მოდელზე.

რომელსაც გამოიყენებს მათ სამართავად. გამონაკლისია სავაჭრო მოთხოვნები, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლთათვისაც ჯგუფმა გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა. თავდაპირველად, ჯგუფი სამართლიანი ღირებულებით აფასებს ფინანსურ აქტივს, იმ შემთხვევაში თუ ფინანსური აქტივი არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, გარიგების თვითღირებულებით.

სავაჭრო მოთხოვნები რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც ჯგუფმა გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღირიცხება გარიგების ღირებულებით, ფასს 15-ის შესაბამისად.

ფინანსური ინსტრუმენტები - პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

იმისათვის რომ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდეს და შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით, მან უნდა წარმოშვას ფულადი ნაკადები, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებთან“ (SPPI) ნარჩენ ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება ინსტრუმენტის დონეზე.

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი დაკავშირებულია იმასთან თუ როგორ ახდენს ჯგუფი ფინანსური აქტივების მართვას ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად. ბიზნეს მოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოძინება, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად. ფინანსური აქტივის ყიდვა ან გაყიდვა, რაც მოითხოვს აქტივის მიწოდებას მოქმედი რეგულაციით ან ბაზარზე არსებული კონვენციით განსაზღვრულ ვადებში, აღიარდება ვაჭრობის თარიღით, რომელიც წარმოადგენს იმ თარიღს, როდესაც ჯგუფი ვალდებულია იღებს, რომ შეიძენს ან გაასხვისებს აქტივს.

შემდგომი აღიარება

შემდგომი აღიარების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

- ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით. (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვის გარეშე, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (კაპიტალის ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)

ეს კატეგორია ყველაზე დამახასიათებელია კომპანიისთვის. ჯგუფი აღრიცხავს ფინანსურ აქტივებს ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა სრულდება:

- ჯგუფი ფლობს ფინანსურ აქტივს ბიზნეს მოდელის შესაბამისად, რათა მოახდინოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხის და პროცენტის გადახდებს არსებულ ძირ თანხაზე.

ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, შემდგომში იზომება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას.

მოგება, ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა, შეცვლა ან გაუფასურება. ჯგუფის ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს.

სავაჭრო მოთხოვნები არის კლიენტებისგან მისაღები თანხები გაწეულ მომსახურებაზე და მიწოდებულ პროდუქციაზე საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან ნაკლებში, ისინი აღირიცხება, როგორც მიმდინარე აქტივები. სხვა შემთხვევაში აღირიცხება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- ჯგუფმა დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) ჯგუფმა გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) ჯგუფმა არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი აღიარებს რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებზე (მსდ) ყველა საკრედიტო ინსტრუმენტზე, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები გამოიანგარიშება სხვაობით სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და სრულ ფულად ნაკადებს შორის, რასაც ჯგუფი ელოდება რომ მიიღებს, დადისკონტირებულს საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები ასევე მოიცავს ფულად შემოდიანებს გირაოში არსებული აქტივების რეალიზაციიდან ან სხვა საკრედიტო გაუმჯობესებებს, რაც წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობების განუყოფელ ნაწილს.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები აღიარდება ორ ეტაპად. საკრედიტო რისკებისთვის, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზარდილა, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი აღიარდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი მოვლენებისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა. იმ საკრედიტო რისკზე, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, სავალდებულოა დანაკარგის რეზერვის აღიარება, მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგზე, რომელიც მოსალოდნელია რისკის დარჩენილ სასიცოცხლო ვადაზე, გაუქმების ვადის მიუხედავად (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მთლიანი სასიცოცხლო ვადა)

სავაჭრო მოთხოვნებისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის ჯგუფი იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გამოსათვლელად. შესაბამისად ჯგუფი არ ადევნებს თვალს საკრედიტო რისკის ცვლილებას, არამედ აღიარებს დანაკარგის რეზერვს მსდ-ს სასიცოცხლო ვადის მიხედვით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. ჯგუფს შემუშავებული აქვს რეზერვის მატრიცა, რომელიც დაფუძნებულია მის ისტორულ საკრედიტო დანაკარგის გამოცდილებაზე, მორგებული მის დებიტორებზე და ეკონომიკურ გარემოს სამომავლო ფაქტორებზე.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით, სესხები, სავაჭრო ვალდებულებები, ან ჰეჯირების ინსტრუმენტებად განსაზღვრულ დერივატივად ეფექტურ ჰეჯში.

ყველა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სესხის და ვალდებულებების შემთხვევაში პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით.

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სესხებს საბანკო ოვერდრაფტის ჩათვლით

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც აღწერილია ქვემოთ:

სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტიანი სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით. მოგება, ან ზარალი აღიარდება, როგორც მოგება-ზარალში, ვალდებულების აღიარების შეწყვეტის მომენტისთვის, ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზირებული ღირებულება გამოითვლება შესყიდვის პროცესში მიღებულ ნებისმიერ პრემიუმის ან ფასდაკლების გათვალისწინებით და ყველა გადასახადის და ხარჯის გათვალისწინებით, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზაცია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღირიცხება, როგორც ფინანსური ხარჯები. აღნიშნული კატეგორია ძირითადად მიესადაგება პროცენტის მატარებელ სესხებს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც ჯგუფმა შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად ჯგუფის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წელამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების გაუქმება, გათავისუფლება ან ვადის გასვლა. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ახლით ჩანაცვლება იგივე მსესხებლისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია აღიარდება, როგორც არსებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებში აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთაქციითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთაქციითვა და

არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ ღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირ ხარჯებით.

როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალებები, რომელიც გამოიყენება ძირითადი ადმინისტრაციული საქმიანობისთვის ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღრიცხულია მის თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე ჯგუფის პოლიტიკით.

მოგება და ზარალი რომელიც წმომიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებული სარგებლისა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშებში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშებში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთა

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება ზარალის ანგარიშებში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივების სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

	სასიცოცხლო პერიოდი
შენობები	35 წელი
ნაგებობები	5 წელი
მანქანა დანადგარები	5 წელი
კომპიუტერები, ავეჯი და სხვა	5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი
სპეციალური ინსტრუმენტები	3 წელი

ამონაგების აღიარება

ჯგუფის ამონაგების წყაროს წარმოადგენს ფართის იჯარით გაცემა, რეკვიზიტების გაქირავება და ფილმის ჩვენების უფლების რეალიზება. ამონაგები კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან აღიარდება მაშინ როდესაც კონტროლი საქონელსა და მომსახურებაზე გადადის კლიენტზე იმ თანხით რასაც ჯგუფი ელოდება რომ მიიღებს საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ.

მოგების გადასახადები.

მიმდინარე გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, დადგენილ საგადასახადო განაკვეთზე ანგარიშგების თარიღისთვის და საგადასახადო ვალდებულების ყველა შესწორება დაკავშირებულია წინა წლებთან.

დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება ვარაუდს, რომ ფინანსური ანგარიშგების დროს უნდა მოხდეს შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების შევსება. გადასახადები, ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

მარაგები.

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის ყველაზე დაბალი ღირებულებით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მიყვანასთან. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, დაკავშირებული აქტივის გაყიდვასთან.

საკუთარი კაპიტალი.

ჯგუფის კაპიტალი მოიცავს დამფუძნებლის შენატანს, რომელიც შევსებულია ქონებრივი და ფულადი შენატანით.

აკუმულირებული მოგება/ზარალი შეიცავს წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება/ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც გამოცხადდა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობა

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის სხვადასხვა ინტერპრეტაცია.

თავდაპირველი აღიარება დაკავშირებულია მხარის ოპერაციებთან. ჩვეულებრივად, ჯგუფი აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს, ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი სამართლიანი ღირებულებით. მსჯელობა გამოიყენება იმის განსასაზღვრად შეესაბამება თუ არა ტრანზაქცია საბაზრო თუ არა საბაზრო ღირებულებას, იმ შემთხვევაში, როდესაც მსგავსი ტრანზაქციისთვის არ არსებობს აქტიური ბაზარი.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა ჯგუფი აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, რისთვისაც ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორებს, ისეთებს როგორცაა ტექნიკური მხარე, კომერციული გამოყენება, ძირითადი საშუალებების გამოყენების ვადა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს საუკეთესო გზით შეაფასოს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა, ის შეიძლება განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

4. ახალი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა და ჯერ არ არის დანერგილი

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა, და რომლებმაც შეიძლება იმოქმედოს კომპანიის

ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე, მოცემულია ქვემოთ. კომპანიის ამ სტანდარტების მიღებას აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე. ხელმძღვანელობა არ მოელოს, რომ ახალი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ბასს-ის მიერ დადგენილი თარიღით ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ეს ცვლილებები ეხება ფასს 10-ისა და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობას ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვასთან ან შეტანასთან დაკავშირებით. ამ ცვლილებების ძირითადი შედეგია სრული შემოსავლის ან ზარალის აღიარება, როდესაც ოპერაცია ბიზნესს ეხება. შემოსულობა ან ზარალი ნაწილობრივ აღიარდება, როდესაც ოპერაცია ეხება აქტივებს, რომელიც ბიზნესს არ წარმოადგენს, თუნდაც ამ აქტივებს შვილობილი საწარმო ფლობდეს. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას. კომპანია არ მოელოს, რომ ამ ცვლილებებს გავლენა ექნებათ მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფასს 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, რათა გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია) (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ხელშეკრულებების ამ ჯგუფში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული ჯგუფი ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს. კომპანია არ მოელოს, რომ ამ ცვლილებებს გავლენა ექნებათ მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად - ცვლილებები ბასს 1-ში 1 (გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს, ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ამ მცირე მასშტაბის ცვლილებებით განმარტებულია, რომ ვალდებულებები კლასიფიცირდება მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებებად, რაც დამოკიდებულია იმ უფლებებზე, რომლებიც არსებობს საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს. ვალდებულება გრძელვადიანია, როდესაც საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს აქვს არსებითი უფლება, რომ ვალდებულების დაფარვა გადაავადოს სულ მცირე თორმეტი თვით. სახელმძღვანელო მითითებებით აღარ მოითხოვება, რომ მსგავსი უფლება იყოს უპირობო. ხელმძღვანელობის მოლოდინი იმის თაობაზე, საბოლოოდ გამოიყენებენ თუ არა ანგარიშსწორების გადავადების უფლებას, გავლენას არ ახდენს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც საწარმო ყველა შესაბამის პირობას აკმაყოფილებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულება კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი ვალდებულება, თუ რომელიმე პირობა დაირღვევა საანგარიშგებო თარიღით ან მანამდე, თუნდაც ამ პირობაზე უარი მომდინარეობდეს გამსესხებლისგან, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ. ამასთან, ცვლილებები მოიცავს იმ ვალის კლასიფიკაციის მოთხოვნების განმარტებას, რომელიც კომპანიამ შეიძლება დაფაროს მისი კაპიტალში კონვერტირებით. „დაფარვა“ განმარტებულია, როგორც ვალდებულების აღმოფხვრა ფულადი სახსრებით, სხვა რესურსებით, რომლებიც ეკონომიკური

სარგებელია განივთებული, ან საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით. გამონაკლისი არსებობს კონვერტირებადი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შეიძლება კაპიტალში კონვერტირდეს, თუმცა მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, რომელთა კონვერსიის ოფციონი კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად, როგორც რთული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე კომპონენტი. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ვალდებულებების კლასიფიკაცია გრძელვადიანად და მოკლევადიანად, ძალაში შესვლის თარიღის გადავადება - შესწორებები ბასს 1-თვის (გამოცემულია 2020 წლის 15 ივლისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის იანვრიდან ან მის შემდეგ). ეს ბასს 1-ის შესწორება ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიცირებაზე, გამოცემულია 2020 წლის იანვარში, თავდაპირველი ძალაში შესვლის თარიღით - 2022 წლის 1 იანვარი. თუმცა, COVID-19 პანდემიის გამო, ძალაში შესვლის თარიღი გადავადდა ერთი წლით, რათა კომპანიებს მიეცეთ მეტი დრო, განახორციელონ კლასიფიკაციის ცვლილებები, შესწორებული სახელმძღვანელო მითითებების მიხედვით. ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

შემოსულობა გამიზნულ გამოყენებამდე; წამგებიანი კონტრაქტები - ხელშეკრულების პირობების შესრულების დანახარჯები, მინიშნება კონცეპტუალურ საფუძვლებზე - მცირემასშტაბიანი ცვლილებები ბასს 16-ში, ბასს 37-სა და ფასს 3-ში, და ფასს-ების წლიური გაუმჯობესებები, 2018-2020 – ცვლილებები ფასს 1-ში, ფასს 9-ში, ფასს 16-სა და ბასს 41-ში (გამოცემულია 2020 წლის 14 მაისს, ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 16-ში ცვლილებით აკრძალულია საწარმოს მიერ ძირითადი საშუალებების ღირებულებიდან იმ შემოსავლის გამოქვითვა, რომელიც მიღებულია ისეთი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან, რომელთაც საწარმო გამიზნული დანიშნულებით ამზადებს. მსგავსი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი, მათი წარმოების დანახარჯებთან ერთად, მოგება-ზარალში აღიარდება. ამ მუხლების ღირებულება არ შეიცავს იმ აქტივის ცვეთას, რომლის ტესტირებაც მიმდინარეობს, რადგან ის მზად არ არის გამიზნული დანიშნულებით გამოყენებისთვის. ბასს 16-ში ცვლილებით ასევე განმარტებულია, რომ აქტივის ტექნიკური და ფიზიკური შედეგების შეფასებისას საწარმო „ახორციელებს ტესტირებას, რათა დაადგინოს აქტივი სათანადოდ ფუნქციონირებს თუ არა“. აქტივის ფინანსური შედეგები შეუსაბამოა ამ შეფასებისთვის. ამგვარად, აქტივი შეიძლება ვარგისი იყოს ხელმძღვანელობის მიერ გამიზნული დანიშნულებით გამოყენებისთვის და მას ცვეთა ერიცხებოდეს მანამ, სანამ ის მიაღწევს საოპერაციო შედეგების დონეს, რომელსაც ხელმძღვანელობა მოელის.

ბასს 37-ში ცვლილებით განმარტებულია განმარტებულია „ხელშეკრულების შესრულების დანახარჯების“ მნიშვნელობა. ახსნილია, რომ ხელშეკრულების შესრულების პირდაპირი დანახარჯები მოიცავს ამ ხელშეკრულების შესრულების ნაზარდ დანახარჯებს; ასევე, მის შესრულებასთან დაკავშირებული სხვა დანახარჯების განაწილებას. ცვლილებაში განმარტებულია ასევე, რომ წამგებიანი ხელშეკრულებისთვის ცალკე ანარიცხის გაკეთებამდე საწარმო აღიარებს იმ აქტივების გაუფასურების ზარალს, რომლებიც გამოყენებულ იქნა ამ ხელშეკრულების შესრულებისთვის, ნაცვლად ამ ხელშეკრულებისთვის გამოყოფილი აქტივებისა.

ფასს 3-ში ცვლილება შეეხება 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებთან მიმართებით, რათა განისაზღვროს აქტივი ან ვალდებულება საწარმოთა გაერთიანებისას. ამ ცვლილებამდე ფასს 3 ეყრდნობოდა 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებს. ამასთან, ფასს 3-ს ახალი გამონაკლისი დაემატა ვალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებებისთვის. გამონაკლისი გულისხმობს, რომ საწარმომ, რომელიც ფასს 3-ს იყენებს, ზოგიერთი სახის ვალდებულებებსა და პირობითი ვალდებულებებთან მიმართებით უნდა გამოიყენოს ბასს 37 ან ფასიკ 21, ნაცვლად 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებისა. ამ ახალი გამონაკლისის გარეშე საწარმო ისეთ ვალდებულებებს აღიარებდა საწარმოთა გაერთიანებაში, რომლებსაც ის არ აღიარებდა ბასს 37-ის შესაბამისად. ამგვარად, საწარმოს შეძენისთანავე მოუწევდა მსგავსი ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა და შემოსულობის აღიარება, რომელიც ეკონომიკურ შემოსულობას არ წარმოადგენს. ამასთან, განმარტებულია, რომ შემდგმა პირობითი აქტივები არ უნდა აღიაროს შეძენის თარიღით, როგორც ბასს 37-ში არის განმარტებული.

ფასს 9-ში შეტანილი ცვლილება ეხება იმის განსაზღვრას, რომელიც საზღაური უნდა შევიდეს ფინანსური ვალდებულებების აღიარებისთვის ჩატარებულ 10%-ის ტესტში. ღირებულება ან საზღაური შეიძლება გადახდილ იქნეს მესამე მხარის ან გამსესხებლისთვის. ამ ცვლილების მიხედვით მესამე მხარისთვის გადახდილი ღირებულება ან საზღაური არ უნდა შევიდეს აღნიშნული 10%-ის ტესტში.

ცვლილება შევიდა მე-13 საილუსტრაციო მაგალითში, რომელიც თან ერთვის ფასს 16-ს, რათა ამოღებულიყო საიჯარო ქონების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით მეიჯარის მიერ განხორციელებული გადახდების ილუსტრირება. ამ ცვლილების მიზეზია იჯარის სტიმულირების გადახდების აღრიცხვასთან დაკავშირებული გაურკვევლობის გამორიცხვა.

ფასს 1-ით ნებადართულია გამონაკლისის გამოყენება, თუ შვილობილი საწარმო ძირითად საწარმოზე გვიან მიიღებს სამოქმედოდ ფასს-ებს. შვილობილ საწარმოს შეუძლია თავისი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებით შეფასება, რაც აისახება ძირითადი საწარმოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ძირითადი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე, თუ შესწორებები არ ყოფილა შეტანილი კონსოლიდირების პროცედურებისთვის და საწარმოთა იმ გაერთიანების ეფექტისთვის, რომლის ფარგლებში ძირითადმა საწარმომ შეიძინა შვილობილი საწარმო. ფასს 1-ში ცვლილება შევიდა, რათა საწარმოებს, რომლებმაც ფასს 1-ის აღნიშნული გამონაკლისით ისარგებლეს, შემდგომადი ასევე კუმულაციური გადაყვანის სხვაობების შეეფასებინათ ძირითადი საწარმოს მიერ ანგარიშგებული თანხებით, ძირითადი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე. ფასს 1-ის აღნიშნული ცვლილება ვრცელდება ზემოაღნიშნულ კუმულაციურ გადაყვანის სხვაობებზე, რათა შემცირდეს პირველად შემომდებთა დანახარჯები. ეს ცვლილება ვრცელდება ასევე მეკავშირე საწარმოებსა და ერთობლივ საქმიანობებზე, რომლებიც ფასს 1-ის იგივე გამონაკლისით სარგებლობენ.

ამოღებულ იქნა მოთხოვნა საწარმოების მიმართ, რომ რეალური ღირებულების ბასს 41-ის მიხედვით შეფასებისას გამოერიცხათ ფულადი ნაკადები დაბეგვრისთვის. ამ ცვლილების მიზანია სტანდარტის იმ მოთხოვნასთან შესაბამისობა, რომელიც გულისხმობს ფულადი ნაკადების დაბეგვრის შემდეგ საფუძველზე დისკონტირებას. ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

შესწორებები ფასს 17-სთვის და შესწორება ფასს 4-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ წლიური პერიოდებისთვის). შესწორებები მოიცავს მთელ რიგ განმარტებებს ფასს 17-ის დანერგვის გასაადვილებლად, ამარტივებს სტანდარტისა და გადასვლის მოთხოვნების ნაწილს. შესწორებები ეხება ფასს 17-ის 8 სფეროს და ისინი არაა გამიზნული სტანდარტის ფუნდამენტური პრინციპების შესაცვლელად. განხორციელებულია მომდევნო შესწორებები ფასს 17-ისთვის:

- **ძალაში შესვლის თარიღი:** ფასს 17-ის ძალაში შესვლის თარიღი (ცვლილებების ჩათვლით) გადავადებულია ორი წლით, იმ ყოველწლიური საანგარიშო პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ; და ფასს 4-ში ფასს 9-ის გამოყენების დროებითი გათავისუფლების ვადის გასვლის თარიღი ასევე გადავადებულია წლიური საანგარიშო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ.
- **დაზღვევის შეძენისთვის ფულადი ნაკადების მოსალოდნელი ანაზღაურება:** საწარმოს მოეთხოვება შესყიდვის ხარჯების ნაწილის გამოყოფა ხელშეკრულების მოსალოდნელ განახლებასთან დაკავშირებით და ამ ხარჯების, როგორც აქტივის, აღიარება, სანამ საწარმო არ აღიარებს ხელშეკრულების განახლებას. საწარმოებს მოეთხოვებათ შეაფასონ აქტივის ამოღებადობა ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში წარადგინონ აქტივის შესახებ კონკრეტული ინფორმაცია.
- **სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა, რომელიც მიკუთვნებადია საინვესტიციო მომსახურებებზე:** დაფარვის ერთეულები უნდა განისაზღვროს, როგორც სარგებლის რაოდენობის გათვალისწინებით, ასევე დაზღვევის დაფარვისა და საინვესტიციო მომსახურების სავარაუდო პერიოდის გათვალისწინებით, ცვალებადი საზღაურის მიდგომის საფუძველზე სხვა ხელშეკრულებებისა და „ინვესტიციის დაბრუნების მომსახურების“ ზოგადი მოდელის მიხედვით. საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა

შედიოდეს სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებში იქამდე, სანამ საწარმო ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც პოლისის მფლობელისთვის, დაზღვევის დაფარვიდან გამომდინარე, გაზრდის მის სარგებელს.

- **ხელახალი დაზღვევის გაფორმებული ხელშეკრულებები** - ზარალის ანაზღაურება: როდესაც საწარმო აღიარებს ზარალს ძირითადი სადაზღვევო ხელშეკრულებების პირველად აღიარების ან კომპანიისთვის წამგებიანი საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულებების დამატების შედეგად, საწარმომ უნდა დააკორექტიროს დაკავშირებული კომპანიის სახელშეკრულებო მომსახურების მარჯა. ანაზღაურებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებისა და აღიარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებების შემოსულობა. ჩატარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან მიღებული ზარალის ოდენობა განისაზღვრება ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე აღიარებული ზარალის და სადაზღვევო ხელშეკრულებებზე მოთხოვნების პროცენტული მაჩვენებლის გამრავლებით, რომელთა ანაზღაურებას საწარმო მოელის ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან. ეს მოთხოვნა ვრცელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულება აღიარებულია ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე ზარალის აღიარებამდე ან ამავე დროს.
- **სხვა შესწორებები:** სხვა შესწორებები მოიცავს ზოგიერთი საკრედიტო ბარათის (ან მსგავსის) ხელშეკრულებების და ზოგიერთი სასესხო ხელშეკრულებების სფეროს გამორიცხვას; სადაზღვევო ხელშეკრულების აქტივებისა და ვალდებულებების წარდგენას ჯგუფების ნაცვლად პორტფელში; ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. რისკის შემცირების შესაძლებლობის გამოყენებას იმ ფინანსური რისკების შერბილებისას, რომელიც იყენებს არსებულ ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებს და არაწარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით; ბუღალტრული პოლიტიკის არჩევანს წინა შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში ფასს 17-ის გამოყენებისას გაკეთებული შეფასებების შესაცვლელად; სამშენიანო გადასახადის გადახდებისა და ქვითრების ჩართვას, რომლებიც დაზღვევის მფლობელს კონკრეტულად ეკისრება სადაზღვევო ხელშეკრულების პირობებით, დაკვეთის შესრულების ფულად ნაკადებში, შერჩეული გარდამავალი შეღავათები და სხვა მცირე შესწორებები. ჯგუფი არ მოელის, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენენ მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის (IBOR) რეფორმა – შესწორებების მეორე ფაზა ფასს 9, ბასს 39, ფასს 7, ფასს 4 და ფასს 16 -სთვის (გამოცემულია 2020 წლის აგვისტოში და ძალაშია 2021 წლის 1 იანვარს დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). მეორე ფაზის შესწორებები იმ საკითხებს ეხება, რომელიც რეფორმების გატარების შედეგად წარმოიქმნება, მათ შორის ერთი ათვლის წერტილის ალტერნატიული ვარიანტით შეცვლა. შესწორებები ფარავს შემდეგ სფეროებს:

- **IBOR-ის რეფორმის შედეგად სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძვლის ცვლილების აღრიცხვა:** ინსტრუმენტებისთვის, რომლებზეც ვრცელდება ამორტიზებული ღირებულების შეფასება, შესწორებები მოითხოვს, რომ საწარმოებმა, გაითვალისწინონ ცვლილების საფუძველი, როგორც პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღრიცხონ IBOR-ის რეფორმის შედეგად მიღებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განახლებით, ფასს 9-ის B5.4.5 პუნქტის სახელმძღვანელო მითითების გამოყენებით. შედეგად, არ აღიარდება მყისიერი შემოსულობა ან ზარალი. ეს პრაქტიკული მიზანშეწონილობა მხოლოდ ისეთი ცვლილებისთვის და იმ დონემდე გამოიყენება, სანამ ის აუცილებელია, როგორც IBOR-ის რეფორმის შემდგომი შედეგი, ხოლო ახალი საფუძველი, ეკონომიკურად უტოლდება მანამდე არსებულ საფუძველს. მზღვეველებს, რომლებიც იყენებენ ფასს-9-დან დროებით გათავისუფლებას, ასევე მოეთხოვებათ იგივე პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენება. შესწორებები განხორციელდა ფასს 16-შიც, რათა IBOR-ის რეფორმის შედეგად სამომავლო საიჯარო გადახდების განსაზღვრის საფუძვლის ცვლილების გამოწვევი იჯარის მოდიფიცირების აღრიცხვისას, იგივე პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენება მოეთხოვოთ მოიჯარეებსაც.
- **ჰეჯირების ურთიერთობებში რისკის კომპონენტებისთვის, რომლებიც განსაზღვრულია, როგორც არასახელშეკრულებო, 1-ლი ფაზის საშეღავათო პერიოდის დასრულების თარიღი:** მე-2 ფაზის შესწორებების თანახმად, საწარმომ, პერსპექტიულ საფუძველზე, უნდა შეაჩეროს 1-ლი ეტაპის საშეღავათო პერიოდი რისკების იმ კომპონენტებისთვის, რომლებიც

განსაზღვრულია, როგორც არასახელმწიფოებრივი, ან არასახელმწიფოებრივი რისკის კომპონენტებში შეტანილი ცვლილებების განხორციელების, ან ჰეჯირების ურთიერთობის შეწყვეტისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება. რისკის კომპონენტებისთვის შესწორებების პირველი ფაზის დასრულების თარიღი არ არის მითითებული.

- დამატებითი დროებითი გამონაკლისები კონკრეტული ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენებისგან: მე-2 ფაზა გვთავაზობს ჰეჯირების აღრიცხვის სპეციფიკური მოთხოვნების გამოყენებისგან დამატებით დროებით შეღავათს ბასს 39 და ფასს 9-ის ჰეჯირების ურთიერთობებისგან, რომლებზეც პირდაპირ გავლენას ახდენს IBOR-ის რეფორმა.

IBOR-ის რეფორმასთან დაკავშირებული ფასს 7-ის დამატებითი განმარტებები: შესწორებები მოითხოვს შემდეგ განმარტებებს: (i) როგორ მართავს საწარმო ალტერნატიული ათვლის წერტილის განაკვეთებზე გადასვლას, ამის პროგრესი და გადასვლისგან გამოწვეული რისკები (ii) იმ წარმოებულების და არაწარმოებულების შესახებ რაოდენობრივი ინფორმაცია, რომლებსაც გადასვლის პროცესი ჯერ წინ აქვთ, და რომელიც გადანაწილებულია მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის მიხედვით, და (iii) რისკების მართვის სტრატეგიის ნებისმიერი ცვლილების IBOR-ის რეფორმის შედეგად აღწერა. ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ დებულება 2-ში შეტანილი ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე). ბასს 1-ში შეტანილია ცვლილებები, რათა კომპანიებს მოეთხოვოთ განმარტონ თავიანთი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და არა მათი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებული იქნა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განსაზღვრება. შესწორებით ასევე განმარტეს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, სავარაუდოდ, არსებითი იქნება, თუ მის გარეშე, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ შეეძლებათ გაეცნონ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ სხვა არსებით ინფორმაციას. შესწორებამ წარმოადგინა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც, სავარაუდოდ, არსებითად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არაარსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება საჭირო არ არის. ამასთან, თუ იგი გამჟღავნდა, ეს არ უნდა ფარავდეს არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ. ამ შესწორების მხარდასაჭერად, ფასს-ის პრაქტიკული დებულება 2, „არსებითობის განსჯის განხორციელება“ ასევე შეიცვალა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოყენებულიყო არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებისას. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ბასს 8-ის დამატებითმა შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვაონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

Covid-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობები – ფასს 16-ის შესწორებები (გამოცემულია 2021 წლის 31 მარტს და ძალაშია 2021 წლის 1 აპრილს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). 2020 წლის მაისში გამოიცა ფასს 16-ის შესწორებები, რომელიც მოიცავდა არასავალდებულო პრაქტიკულ მიზანშეწონილობებს მოიჯარეებისათვის, რათა შეეფასებინათ Covid-19-თან დაკავშირებული იჯარის დათმობები, რამაც გამოიწვია 2021 წლის 30 ივნისისთვის/ივნისამდე გადასახდელი საიჯარო გადახდების შემცირება, არის თუ არა იჯარის მოდიფიკაცია. 2021 წლის 31 მარტს გამოქვეყნებულმა შესწორებამ გაახანგრძლივა პრაქტიკული მიზანშეწონილობების ვადა 2021 წლის 30 ივნისიდან 2022 წლის 30 ივნისამდე. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

გადავადებული გადასახადი დაკავშირებული აქტივებსა და ვალდებულებებთან რომლებიც წარმოიქმნება ერთი ოპერაციისგან - ბასს 12-ის შესწორებები (გამოცემულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 12-ის შესწორებები განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოხდეს გადავადებული გადასახადის აღრიცხვა გარიგებებზე, როგორებიცაა იჯარები და ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები. განსაზღვრულ გარემოებებში, საწარმო თავისუფლდება გადავადებული გადასახადის აღიარებისგან, როდესაც ის პირველად აღიარებს აქტივებს ან ვალდებულებებს. უწინ, იყო გაურკვევლობა იმის თაობაზე, თავისუფლდებოდა თუ არა ისეთ გარიგებები, როგორებიცაა იჯარები და ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები - გარიგებები, რომელთათვისაც აღიარებულია როგორც აქტივი, ისე ვალდებულება. ცვლილებების თანახმად, გათავისუფლება არ ვრცელდება და სუბიექტები ვალდებული არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი ასეთ გარიგებებზე. ცვლილებების თანახმად, კომპანიები ვალდებული არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი გარიგებებზე, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას წარმოშობენ დასაბეგრი და გამოსაქვითი დროებითი სხვაობების თანაბარ რაოდენობას. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ზემოთ სხვაგვარად თუ არ არის მითითებული, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31 დეკემბერი, 2020 წ. (ლარი)	31 დეკემბერი, 2019 წ. (ლარი)
ნაღდი ფული სალაროში	707	2 261
ნაღდი ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	540 647	188 835
	541 354	191 096

6. სავაჭრო მოთხოვნები

	31 დეკემბერი, 2020 წ. (ლარი)	31 დეკემბერი, 2019 წ. (ლარი)
ადგილობრივი დამკვეთები	433 340	391 094
მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი მოთხოვნების გაუფასურება	(209 456)	(104 704)
	223 884	286 391

ყველა სავაჭრო მოთხოვნა არის მოკლევადიანი და უპროცენტო. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების წმინდა ღირებულება მიახლოებულია საბალანსო ღირებულებასთან. ფინანსური აქტივები, რომლებიც პოტენციურად აყენებს ჯგუფს საკრედიტო რისკის ქვეშ, შედგება სავაჭრო და სხვა დებიტორული

დავალიანებისგან. ყოველი წლის ბოლოს ჯგუფი აფასებს დებიტორების გადახდისუნარიანობას და საჭიროების შემთხვევაში აკეთებს რეზერვებს. ყველა მოთხოვნა არის დენომინირებული ლარში.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომსახურებიდან და მიწოდებიდან მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი გაიზარდა 104752 ლარით.

7. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა- ნაგებობები	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	მანქანა- დანადგარები	კომპიუტერული ტექნიკა და აღჭურვილობა	საოფისე აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სპეც ინსტრუმენტები	სხვა	სულ
	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)		
ისტორიული ღირებულება									
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	11 157 648	32 126	189 088	94 157	299 869	61 374	6 752 928	20 059	18 607 249
დამატება	421 038	-	-	563	30 630	349	-	1 002	453 582
სულ ისტორიული ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	11 578 686	32 126	189 088	94 720	330 500	61 723	6 752 928	21 061	19 060 831
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება									
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	279 561	32 126	188 205	69 579	256 456	48 437	6 744 980	14 101	7 633 446
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	106 532	-	883	10 361	18 975	7 193	-	2 524	146 469
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	386 093	32 126	189 088	79 941	275 431	55 630	6 744 980	16 625	7 779 914
ნარჩენი ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	11 192 593	-	-	14 779	55 069	6 092	7 948	4 436	11 280 917

	მიწა და შენობა- ნაგებობები	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	მანქანა- დანადგარები	კომპიუტერული ტექნიკა და აღჭურვილობა	საოფისე აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სპეც ინსტრუმენტები	სხვა	სულ
	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)		
ისტორიული ღირებულება									
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	11 103 945	32 126	189 088	88 339	278 642	55 730	6 741 895	18 970	18 508 734
დამატება	53 703	-	-	5 819	21 228	5 643	11 033	1 089	98 515
სულ ისტორიული ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	11 157 648	32 126	189 088	94 157	299 869	61 374	6 752 928	20 059	18 607 249
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება									
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	181 692	32 126	186 746	57 377	207 092	42 167	6 741 774	11 603	7 460 577
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	97 869	-	1 459	12 203	49 364	6 270	3 206	2 498	172 868
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	279 561	32 126	188 205	69 579	256 456	48 437	6 744 980	14 101	7 633 446
ნარჩენი ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	10 878 087	-	883	24 578	43 413	12 937	7 948	5 958	10 973 803

8. არამატერიალური აქტივები

	ფილმები (GEL)	სხვ. არამატერიალური აქტივები (GEL)	სულ (GEL)
ისტორიული ღირებულება			
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	625 937	2 685	628 621
დამატება	152 002	-	152 002
სულ ისტორიული ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	777 939	2 685	780 623
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება			
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	2 685	2 685
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	-	-	-
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	2 685	2 685
ნარჩენი ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	777 939	-	777 939

	ფილმები (GEL)	სხვ. არამატერიალური აქტივები (GEL)	სულ (GEL)
ისტორიული ღირებულება			
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	327 931	2 685	330 616
დამატება	298 006	-	298 006
სულ ისტორიული ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	625 937	2 685	628 621
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება			
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	2 685	2 685
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	-	-	-
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	2 685	2 685
ნარჩენი ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	625 937	-	625 937

9. საინვესტიციო ქონება

	მიწა და შენობა- ნაგებობები (GEL)	სულ (GEL)
ისტორიული ღირებულება		
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	36 606 078	36 606 078
დამატება	-	-
(შემცირება)	(417 046)	(417 046)
სულ ისტორიული ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	36 189 032	36 189 032
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება		
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	833 625	833 625
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	297 572	297 572
ჩამოწერა	-	-
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1 131 197	1 131 197
ნარჩენი ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	35 057 835	35 057 835

	მიწა და შენობა- ნაგებობები (GEL)	სულ (GEL)
ისტორიული ღირებულება		
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	36 541 493	36 541 493
დამატება	64 585	64 585
(შემცირება)		-
სულ ისტორიული ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	36 606 078	36 606 078
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება		
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	541 740	541 740
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	291 885	291 885
ჩამოწერა		-
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	833 625	833 625
ნარჩენი ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	35 772 453	35 772 453

10. სხვა გრძელვადიანი აქტივები

	31 დეკემბერი, 2020 წ. (ლარი)	31 დეკემბერი, 2019 წ. (ლარი)
რეკვიზიტები	419 976	419 976
სხვა გრძელვადიანი აქტივები	6 739	-
	426 715	419 976

11. სავაჭრო ვალდებულებები

	31 დეკემბერი, 2020 წ. (ლარი)	31 დეკემბერი, 2019 წ. (ლარი)
რეზიდენტი კომპანიები	129 779	132 174
რეზიდენტი ფიზიკური პირები	-	401
	129 779	132 575

სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხებათ პროცენტი. ჯგუფს გააჩნია რისკების მართვის პოლიტიკა, იმისთვის, რომ შესაძლებელი იქნეს ვალდებულებების დროული გადახედვა. ყველა სავაჭრო და სხვა ვალდებულებები დენომინირებულია ლარში.

12. საგადასახადო ვალდებულებები

	31 დეკემბერი, 2020 წ. (ლარი)	31 დეკემბერი, 2019 წ. (ლარი)
საანგარიშგებო თარიღის შემდგომ ასახული გადასახადები	9 475	3 769
ავანსის დღე	(3 814)	(2 669)
ერთიანი საგადასახადო ბარათი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	213 254	222 394
	218 915	223 494

კომპანიის მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება წარმოშობილი აქვს შემოსავლების სამსახურს, რომლის საფუძველია: შეტყობინება N00217880, 05.11.2019. გირავნობით უზრუნველყოფილია შემოსავლების სამსახურთან გაფორმებული შეთანხმება კომპანიის ქონების გადასახადის გრაფიკით გადავადების თაობაზე.

13. სხვა მიმდინარე ვალდებულებები

	31 დეკემბერი, 2020 წ. (ლარი)	31 დეკემბერი, 2019 წ. (ლარი)
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	51 176	34 343
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	63 198	29 648
	114 373	63 990

14. სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები

	31 დეკემბერი, 2020 წ. (ლარი)	31 დეკემბერი, 2019 წ. (ლარი)
გრძელვადიანი დივიდენდის მოგების გადასახადი	44 274	44 274
	44 274	44 274

15. ამონაგები

	2020 წელი (ლარი)	2019 წელი (ლარი)
ამონაგები საიჯარო მომსახურებიდან	1 128 660	1 205 697
ამონაგები ფილმის ჩვენების უფლებიდან	55 256	12 146
სხვა ამონაგები	15 924	13 165
	1 199 839	1 231 007

16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020 წელი	2019 წელი
	(ლარი)	(ლარი)
თანამშრომელთა ანაზღაურება	460 816	704 808
საკანცელარიო ხარჯი	1 325	1 309
კომუნიკაციის ხარჯები	23 131	22 104
კომუნალური ხარჯები	8 744	8 836
საწვავის ხარჯები	-	134
საკონსულტაციო ხარჯი	9 579	27 591
საგადასახადო ხარჯები	140 122	143 624
საბანკო ხარჯები	1 508	834
მივლინების ხარჯები	3 594	9 691
წარმომადგენლობითი ხარჯები	1 924	3 585
ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯები	34 554	45 528
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17 846	35 984
	703 142	1 004 027

17. სხვა საოპერაციო შემოსავალი/(ხარჯები)

	2020 წელი	2019 წელი
	(ლარი)	(ლარი)
კომუნალური ხარჯები	(238 962)	(241 474)
ცვეთის ხარჯები	(444 039)	(464 753)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	(197)	580
სხვა საოპერაციო ხარჯები	-	(164)
	(683 198)	(705 812)

18. სხვა არასაოპერაციო მოგება/(ზარალი)

	2020 წელი	2019 წელი
	(ლარი)	(ლარი)
მიღებული დაფინანსება	278 611	490 096
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	(4 585)	69 216
ხარჯად აღიარებული ჯარიმები და საურავები	(21 377)	(6 158)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	-	(6 531)
	252 650	546 623

19. მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალოს 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორიცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგვრა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

20. პირობითი ვალდებულებები და ოპერაციული რისკები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომელის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანზაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი,

რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხო მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად. აქედან გამომდინარე, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება.

სასამართლო დავები

სს „ქართული ფილმს“ აქვს მიმდინარე სასამართლო დავა სს „თელასთან“ ელ. ენერგიის დავალიანების თაობაზე, ხოლო სს „ქართული ფილმის“ მიერ შეგებებული სარჩელით დაყენებულ იქნა მოთხოვნა კომპანიის ბალანსზე რიცხული მაღალი ძაბვის ტრანსფორმატორების ექსპლუატაციის შედეგად მიღებული გატარების მომსახურების საფასურის ანაზღაურებისა და ტრანსფორმატორის ექსპლუატაციისათვის გაწეული დანახარჯების ანაზღაურების მოთხოვნით. სს „თელასს“ ქართული ფილმის სასარგებლოდ დაეკისრა გატარების მომსახურების საფასურის გადახდა, ხოლო სს „თელასის“ მოთხოვნა კომპანიის მიმართ დარიცხული მიმდინარე ელ. ენერგიის გადასახადის სს „ქართული ფილმისათვის“ დაკისრების თაობაზე სასამართლოს მიერ არ დაკმაყოფილებული.

შპს „ქართული ფილმი უძრავი ქონება“-ს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჰქონდა ერთი აქტიური სასამართლო დავა ზიანის ანაზღაურების თაობაზე, რომლის მოსარჩლე მხარეს წარმოადგენდა შპს „კაბლისი“.

21. ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი

ჯგუფს შესაძლოა დაუდგეს საკრედიტო რისკი, რომელიც არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს ვალდებულების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის საფრთხე წარმოიშობა იმის შედეგად, რომ კომპანია ყიდის პროდუქტებს საკრედიტო პირობებით და სხვა ტრანზაქციებისგან, სადაც კონტრაგენტები წარმოქმნიან ფინანსურ აქტივებს.

საბაზრო რისკი

ჯგუფი ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

საპროცენტო რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა რომ მცოცავი საპროცენტო განაკვეთი უარყოფით გავლენას მოახდენს ჯგუფის ფინანსურ შედეგებზე. 2020 წლის მდგომარეობით ჯგუფს არ გააჩნია სესხები, შესაბამისად არ არსებობს საპროცენტო რისკი.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჯგუფი არ ახდენს სავალუტო რისკის დაზღვევას.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს რომ ჯგუფი ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულებების გასტუმრებას. ჯგუფს აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს ჯგუფის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

ლიკვიდურობის მაჩვენებელი, 2020 წლის 31 დეკემბრისა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოცემულია ქვედა ცხრილში საგადასახადო ვალდებულებების გათვალისწინებით:

წელი	მოკლევადიანი აქტივები	მოკლევადიანი ვალდებულებები	სხვაობა
2019	531 262	420 059	111 204
2020	787 607	463 067	324 540

22. დაკავშირებული მხარეები

მენეჯმენტის ანაზღაურებამ 2020 წლის განმავლობაში შეადგინა 51,788 ლარი, 2019 წელს - 81,684 ლარი.

23. ახალი კორონავირუსის COVID-19-ის გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე

2020 წლის დასაწყისში გავრცელებულმა კორონა ვირუსმა სწრაფად მოიცვა მთელი მსოფლიო, საქართველოს ჩათვლით და უდიდესი სოციალური თუ ეკონომიკური ზიანი მიაყენა ქვეყნებს. 2020 წლის 11 მარტს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO) COVID-19 კორონავირუსის პანდემია გამოაცხადა. პირველი შემთხვევა საქართველოში, ოფიციალურად, 2020 წლის 26 თებერვალს დაფიქსირდა. ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგო ზომების ნაწილის სახით, საქართველოს მთავრობამ სხვადასხვა დროს დააწესა სხვადასხვა სახის შეზღუდვები. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ახალი კორონავირუსის გავრცელების შესაძლო შედეგები კომპანიისთვის არ იქნება მნიშვნელოვანი ხასიათის.

შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, კომპანიას შეექმნა უმნიშვნელო ფინანსური სირთულეები, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მის ძირითად მომხმარებლებზე არ იმოქმედებს არსებული გარემოება და კომპანია უწყვეტ რეჟიმში შეძლებს ფუნქციონირებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ყოველივე ზემოთქმული დამოკიდებულია საქართველოში და მსოფლიოში კორონავირუსის გავრცელების მასშტაბებზე და ხანგრძლივობაზე, ასევე იმის მიხედვით, თუ რამდენ ხანს გაგრძელდება მოცემული მდგომარეობა, პროგნოზი შეიძლება შეიცვალოს.

24. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ განვითარებული მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, 2021 წლის 07 სექტემბრამდე, ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენებს:

- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ სს „ქართული ფილმი“ გადასცა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს;
- დასრულდა გადაღება ერეკლე ბადურაშვილის ფილმის „ხიდი“;
- რესტავრაცია გაუკეთდა ფილმს „მწვერვალი“;
- რესტავრაცია გაუკეთდა ორ ანიმაციურ ფილმს;
- დაიწყო ფირების გადარჩევა და სისტემატიზაცია;
- განახლდა მერაბ კოკოჩაშვილის ფილმის „ტერცო მონდოს“ გადაღება.

გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არ მომხდარა სხვა რაიმე სახის მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც გამოიწვევდა ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

25. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2021 წლის 07 სექტემბერს ჯგუფის მენეჯმენტის მიერ. ჯგუფის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.